სამეცნიერო-პრაქტიკული ელექტრონული ჟურნალი

ბალანსებულები

ივლისი №14

- ოფიციალური დოკუმენტები
- დაბეგვრის თეორია და მეთოდოლოგია
- დაბეგვრის პრაქტიკა
- ფინანსები, აღრიცხვა და აუდიტი
- ხელშეკრულებები საბაჟო-სასაზღვრო და საბაჟო კანონმდებლობაში კომენტარებით
- კითხვა-პასუხები

2019

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ფინანსური და საქართველოს ინფორმაციის ცენტრი

გთავაზობთ:

- ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების სქემების დამუშავებას და ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვის აწყობას ახლადშექმნილ და მოქმედ კომპანიებში
- ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოებას ხელშეკრულებით
- კომპანიის საქმიანობის ფინანსურ ანალიზს და ფინანსური გაჯანსაღების ღონისძიებების დაგეგმვას
- ექსპორტ-იმპორტის საგადასახადო კონცეფციის შემუშავებას

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

gamomcemeli: Sps `biznes inteleqti~
Publisher: Business Intellect Ltd.

UDC (uak) 336.2+336.14(051.2)
g-145

referirebadi da recenzirebadi samecniero-praqtikuli el.Jurnali
`gadasaxadebi~
registrirebulia #04-06/65, 10.08.2009 / **Registred** #04-06/65, 10.08.2009
Referred and reviewed scientific & practical e.magazine `Gadasakhadebi~

mTavari redaqtori:
daviT jalaRonia,
sruli profesori
Chief Editor:
David Jalaghonia, Full Professor

pasuxismgebeli mdivani
marine xubua, asocirebuli profesori
Executive Secretary:
Marine Khubua, Associated Professor

redaqtori: madona gelaSvili
asocirebuli profesori
Editor:
Madona Gelashvili, Associated Professor

teqnikuri redaqtori:
naziko gomelauri
Technical Editor: Naziko Gomelauri
koreqtori: rusiko papaskiri
asocirebuli profesori
Corrector:
Rusiko Papaskiri, Associated Professor

marketolog-konsultanti:
devi Sonia, asocirebuli profesori
Marketing Consultant:
Devi Shonia, Associated professora

iurist-konsultanti:
elgujaqavTaraZe, asocirebuli profesori
Legal Advisor:
Elguja Kavtaradze, Associated Professor

saredaqcio kolegia
EDITORIAL BOARD
Tavmjdomare: profesori daviT jalaRonia
ChairmanC: **professor David Jalagonia**

ekonomikur mecnierebaTa doqtorebi, profesorebi:
Doctors of Economics, Professors:

zaur amilaxvari	Zaur Amilakhvari
rezo gvelesiani	Rezo Gvelesiani
simon gelaSvili	Simon Gelashvili
irma dixaminjia	Irma Dikhaminjia
kaxaber eraZe	Kakhaber Eradze
SoTa veSapiZe	Shota Veshapidze
larisa TakalanZe	Larisa Takalandze
zurab lipartia	Zurab Lipartia
zaira RuduSauri	Zaira Gudushauri
Temur Sengelia	Temur Shengelia
mixeil CikviladZe	Mikheil Chikviladze
nodar xaduri	Nodar Khaduri
elene xarabaZe	Elene Kharabadze
rezo xarebava	Rezo Kharebava
nanuli ZimceiSvili	Nanuli Dzimceishvili

anJelika krutova - xarkovi, ukraina
Angelica Krutova - Kharkiv, Ukraine
kerimovi elsever nariman oRli - baqo, azerbaijani
Kerimov Elsever Nariman Ogli - Baku, Azerbaijan

el. Jurnali ,,gadasaxadebi~
registrirebulia
s.k. 404941300
E. Magazine "GADASAKHADEBI"
(Taxes) is registered
ID code: 404941300

mimRebi: Sps 'biznes inteleqti~
mimRebis IBAN angariSis #GE67TB332136020100005
mimRebis banki: s.s `Tibisi~ banki
bankis kodi: TBCBGE22

Beneficiary's name: **Business Intellect Ltd**
BEN'S ACCOUNT - GE67TB332136020100005
Beneficiary Bank: TBC BANK, GEORGIA
BANK KODE - TBCBGE22
T/Fax: 00995 32 2307851 , mob/Mob:00995 5 93 79 10 77

redaqciis azri SesaZloa ar emTxveodes avtorisas. statiaSi moyvanili faqtebisa da monacemebis sizusteze pasuxismgebelia avtori.
Author's opinion may differ from the one of the Editorial Board. Accuracy of the facts and data provided in the article is the responsibility of author

gamodis TveSi erTxel, fasi 4 lari / MONTHLY MAGAZINE, PRICE: GEL 4
ISSN 1987-9156

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

sarCevi / **Table of contents**

oficialuri dokumentebi / **Formal documents**

oficialuri dokumentebi ---------- 5-46

instruqcia / **Instructions** ---------- 47-49

Semosavlebis samsaxuris brZaneba / **Revenue Service command** ----
---------- 50-55

gadasaxadebi #14, 2019

GADASAKHADEBI #14, 2019

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №339

2019 წლის 18 ივლისი, ქ. თბილისი

„თავისუფალი ტურისტული ზონების განვითარების ხელშეწყობის კომისიის შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ნოემბრის №340 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „თავისუფალი ტურისტული ზონების განვითარების ხელშეწყობის კომისიის შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ნოემბრის №340 დადგენილებაში (სსმ, №146, 10/11/2010) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი №1

თავისუფალი ტურისტული ზონების განვითარების ხელშეწყობის კომისიის შემადგენლობა

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი – კომისიის თავმჯდომარე;

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე – კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე;

საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე;

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე;

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აწარმოე საქართველოში დირექტორი;

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სივრცითი დაგეგმარების დეპარტამენტის უფროსი;

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსი;

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე;

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელი – კომისიის მდივანი.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №331

2019 წლის 16 ივლისი, ქ. თბილისი

„შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ მიერ საქონლისა და მომსახურების შესყიდვის სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 5 სექტემბრის №418 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის საფუძველზე, „შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ მიერ საქონლისა და მომსახურების შესყიდვის სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2017 წლის 5 სექტემბრის №418 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 06/09/2017, 300160070.10.003.020127) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ მიერ საქონლისა და მომსახურების შესყიდვის სპეციალური წესის“:

1. **მე-2 მუხლის „ყ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ყ) სტიმულირების პროგრამა – შემსყიდველის მიერ შემუშავებული სტიმულირების პროგრამა, რომლის პირობების გათვალისწინებით გაფორმებული სტიმულირების ხელშეკრულება ითვალისწინებს საქართველოს აეროპორტებში ავიამიმართულებების, სიხშირეების ან/და მგზავრთნაკადის ზრდის უზრუნველყოფის მარკეტინგული მომსახურების შესყიდვას. სტიმულირების პროგრამის ფარგლებში მტკიცდება ავიაკომპანიის ბაზირების, ახალი პრიორიტეტული მიმართულების, ახალი სტრატეგიული მიმართულებისა და არსებული სტრატეგიული მიმართულების სტიმულირების პროგრამები;“.

2. **მე-5 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 10^1 – 10^7 პუნქტები:**

„10^1. არსებული სტრატეგიული მიმართულების სტიმულირების ხელშეკრულება ფორმდება ავიაკომპანიასთან, რომელიც შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ბაზირებული საჰაერო ხომალდით შეასრულებს ფრენებს არსებული სტრატეგიული მიმართულებით.

10^2. სტიმულირების ხელშეკრულების მიზნებისათვის, არსებულ სტრატეგიულ მიმართულებებად ითვლება თბილისი-ლონდონი-თბილისისა და თბილისი-ბრიუსელი-თბილისის მიმართულებები.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

10[3]. ხელშეკრულების ღირებულება თითოეული არსებული სტრატეგიული მიმართულებისათვის უნდა განისაზღვროს არაუმეტეს 90 (ოთხმოცდაათი) ევროს ოდენობით დღგ-ის გარეშე, თითოეულ ჩამომფრენ მგზავრზე, სტიმულირების პროგრამის ფარგლებში, რაც ჯამური ღირებულების სახით (თითოეული არსებული სტრატეგიული მიმართულებისათვის) არ უნდა აღემატებოდეს600 000 ევროს დღგ-ის გარეშე.

10[4]. არსებული სტრატეგიული მიმართულების სტიმულირების ხელშეკრულების ფარგლებში ავიაკომპანიამ უნდა უზრუნველყოს წლის განმავლობაში უწყვეტად, კვირაში, სულ მცირე, 2 სიხშირის შესრულება თითოეულ არსებულ სტრატეგიულ მიმართულებაზე.

10[5]. შემსყიდველი უფლებამოსილია, არსებული სტრატეგიული მიმართულების სტიმულირების ხელშეკრულება თითოეულ მიმართულებაზე ერთ ავიაკომპანიასთან გააფორმოს არა უმეტეს 1 (ერთი) წლის ვადით.

10[6]. იმ შემთხვევაში, თუ არსებული სტრატეგიული მიმართულების სტიმულირების ხელშეკრულების გაფორმების მოთხოვნით შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანებას“ მიმართავს ერთზე მეტი ავიაკომპანია და მათგან ორი ან მეტი აკმაყოფილებს ახალი ავიაკომპანიის სტიმულირების ხელშეკრულების გაფორმებისათვის დადგენილ მოთხოვნებს, ხელშეკრულების გაფორმების რიგითობა განისაზღვრება ამ ავიაკომპანიების მიერ მოთხოვნის წარდგენის დროის მიხედვით, თანმიმდევრობით. პირველი ხელშეკრულება გაფორმდება ავიაკომპანიასთან, რომელმაც პირველმა მიმართა შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანებას“.

10[7]. იმ შემთხვევაში, თუ თითოეულ არსებულ სტრატეგიულ მიმართულებაზე გაფორმდება სტიმულირების 2 ხელშეკრულება, შემსყიდველი უფლებამოსილია, უარი თქვას სტრატეგიული მიმართულების სტიმულირების შემდგომი ხელშეკრულებების გაფორმებაზე.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №341

2019 წლის 18 ივლისი, ქ. თბილისი

„2019 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის №693 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „2019 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის №693 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31/12/2018, 470000000.10.003.021008) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „2019 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების“ №21 დანართის (ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფა):

1. **მე-2 მუხლს პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „1^1“ პუნქტი**:

„1^1. იმ შემთხვევაში, თუ პირი ერთდროულად მიეკუთვნება პროგრამით განსაზღვრულ ერთზე მეტ კატეგორიას, მაშინ კატეგორიებისთვის მიკუთვნება მოხდება ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული რიგითობის მიხედვით.“.

2. **მე-4 მუხლის**:

ა) პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პროგრამის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მოსარგებლეებისათვის გათვალისწინებულია მომსახურების ღირებულების გადახდა მედიკამენტ(ებ)ის თითოეული გატანისას გატანილი მედიკამენტ(ებ)ის ღირებულების 10%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 0,05 ლარისა (5 თეთრი) და არაუმეტეს 1 (ერთი) ლარისა.

2. პროგრამის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მოსარგებლეებისათვის გათვალისწინებულია თანაგადახდა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს პროგრამის ფარგლებში შესყიდული მედიკამენტის საბაზრო ღირებულების 25%-ს. აღნიშნული პუნქტით გათვალისწინებული მიზნებისათვის მედიკამენტის საბაზრო ღირებულებად მიიჩნევა 2018 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით საქართველოს ბაზარზე დაფიქსირებული საცალო ფასი. აღნიშნული პუნქტით გათვალისწინებული მედიკამენტების საცალო ფასი და ფასის განსაზღვრის მეთოდოლოგია, თანაგადახდის ოდენობა და გაანგარიშების მეთოდოლოგია, მედიკამენტის დასახელება და სხვა (მ.შ., საგამონაკლისო) პირობები განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ამ პროგრამის ფარგლებში შესყიდულ მედიკამენტებში ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული თანხა დისტრიბუტორ(ებ)ის მხრიდან ირიცხება პროგრამის განმახორციელებლის ანგარიშზე.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №323

2019 წლის 10 ივლისი, ქ. თბილისი

„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2019 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის №684 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2019 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის №684 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31/12/2018, 280120000.10.003.021000) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის:

1. **№1.1 დანართის („კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამა“):**

ა) მე-3 მუხლის:

ა.ა) პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) მწვავე კრიზისის მდგომარეობით შეფასებული ოჯახები, მათ შორის, გასული წლების მოსარგებლე ბავშვიანი ოჯახები, რომლებიც განმეორებით მიმართავენ სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულს.“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა.ბ) მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა.გ“ – „ა.ზ“ ქვეპუნქტები:

„ა.გ) მშობლები არიან შშმ სტატუსის მქონე პირები;

ა.დ) მშობელი არის დედათა და ბავშვთა თავშესაფრის/ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრის ბენეფიციარი და მასზე დამოკიდებული არასრულწლოვანი პირი, რომელმაც დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყების მიზნით დატოვა დაწესებულება და ქვეპროგრამაში ჩართვის განაცხადით მიმართა სააგენტოს მომსახურების შეწყვეტიდან 30 დღის განმავლობაში;

ა.ე) მშობელი არის მცირე საოჯახო ტიპის სახლის აღსაზრდელი ან მინდობით აღზრდის ქვეპროგრამის ბენეფიციარი, რომელმაც დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყების მიზნით დატოვა მომსახურება და ქვეპროგრამაში ჩართვის განაცხადით მიმართა სააგენტოს მომსახურების შეწყვეტიდან 30 დღის განმავლობაში;

ა.ვ) ოჯახი განაცხადის შეტანის მომენტში რეგისტრირებულია „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“, არის ობოლი და აქვს წონის დეფიციტი;

ა.ზ) ოჯახი რეინტეგრაციის შემწეობის მიმღებია მისი დაბადების მომენტისათვის.“;

ბ) მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქვეპროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 1 900 000 ლარით, ამასთან, ქვეპროგრამის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ღონისძიება – 630 000 ლარით, მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ღონისძიება – 270 000 ლარით, მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ღონისძიება – 1 000 000 ლარით.“.

2. **№1.2 დანართის („ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამა“)**:

ა) მე-3 მუხლის:

ა.ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფს განეკუთვნებიან დაბადებიდან შვიდ წლამდე ასაკის ბავშვები (შვიდი წლის შესრულების თვის ჩათვლით), რომლებსაც აქვთ ბავშვთა პედიატრის/ოჯახის ექიმის, ნევროლოგის ან სხვა ექიმ-სპეციალისტის მიერ გამოვლენილი განვითარების ეტაპების დაყოვნება (მსხვილი და ნატიფი მოტორიკის, კომუნიკაციისა და მეტყველების, სოციალურ-ემოციური და კოგნიტური სფეროების განვითარებისა და ადაპტური ქცევის პრობლემა), შეზღუდული შესაძლებლობა ან, ამ მხრივ, რისკი, რაც დადასტურებულია ამ პროგრამის №2 დანართში მოცემული ICD-10-ის დიაგნოზებით. ამასთან, ამ ქვეპროგრამის მოსარგებლე არ შეიძლება იყოს სამიზნე ჯგუფით განსაზღვრული ძირითადი დიაგნოზის – R62.0-ის მქონე ბავშვი, რომელიც ჩართულია №1.3 დანართით გათვალისწინებულ ბავშვთა რეაბილიტაციის/აბილიტაციის ქვეპროგრამაში.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ერთი თვის განმავლობაში ფინანსდება არაუმეტეს 12 000 ვიზიტისა, ამ დანართის მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ლიმიტების შესაბამისად, მათ შორის: ახალციხის მუნიციპალიტეტში – არაუმეტეს 200 ვიზიტისა თვეში, ბორჯომის მუნიციპალიტეტში – არაუმეტეს 320 ვიზიტისა თვეში, გორის მუნიციპალიტეტში – არაუმეტეს 400 ვიზიტისა თვეში, მარნეულის მუნიციპალიტეტში – არაუმეტეს 260 ვიზიტისა თვეში.“;

ა.ბ) მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე“ ქვეპუნქტი:

„ე) ამ მუხლის მე-6 პუნქტის „ე[1]“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, დამატებით, კანონიერი წარმომადგენლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV-100/ა), რომლითაც დასტურდება, რომ მშობელი/მშობლები არის/არიან თანდაყოლილი სიყრუის მქონე პირ(ებ)ი.“;

ა.გ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. უფლებამოსილი პირი ახორციელებს წარდგენილი დოკუმენტაციის შესწავლას/დედანთან შესაბამისობის შემოწმებას.“;

ა.დ) მე-6 პუნქტს „ე“ ქვეპუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე[1]“ ქვეპუნქტი:

„ე[1]) ბავშვები, რომლებსაც ჰყავთ თანდაყოლილი სიყრუის მქონე მშობლები;“;

ბ) მე-4 მუხლის:

ბ.ა) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ქვეპროგრამით განსაზღვრული მომსახურების ღირებულების ასანაზღაურებლად გამოიყენება მომსახურების მიმწოდებლის მიერ სააგენტოსთვის არაუგვიანეს მომსახურების მიწოდების თვის 15 რიცხვის ჩათვლით წარდგენილი ვაუჩერის შესაბამისი თვის ტალონი, რომელიც ექვემდებარება ანაზღაურებას მომსახურების მიწოდების თვის ამოწურვამდე. ამასთან, მომსახურების მიმწოდებლის მიერ ამ ვადის დარღვევით წარდგენილი ვაუჩერის ტალონი დაფინანსებას არ ექვემდებარება. მიმწოდებელი ვალდებულია, მომსახურების გაწევის თვის 15 რიცხვის ჩათვლით, სააგენტოს წარუდგინოს მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი, დათარიღებული და ბეჭდით დამოწმებული დოკუმენტი, რომელშიც ასახულია ბენეფიციარის მიერ წინა თვეში ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით სარგებლობის მონაცემები წინა თვის განმავლობაში მიღებული მომსახურების სახეობების, ჯერადობისა და მომსახურების ჩატარების ადგილის მითითებით, რაც დადასტურებული უნდა იყოს ბენეფიციარის კანონიერი წარმომადგენლის/მინდობით აღმზრდელის ხელმოწერით. 3-დან 7 წლამდე ასაკის ბავშვების შემთხვევაში, რომლებსაც აღენიშნებათ განვითარების შეფერხება/ჩამორჩენა განვითარების არანაკლებ სამ სფეროში – მიმწოდებელმა ასევე უნდა წარადგინოს შესაბამისი შეფასების დამადასტურებელი საბუთი, არანაკლებ 12 თვეში ერთხელ. დოკუმენტის ფორმას განსაზღვრავს სააგენტო (2019 წლის 1 სექტემბრამდე).“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ.ბ) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. ვაუჩერის ერთი თვის ტალონი ანაზღაურდება სააგენტოს მიერ განსაზღვრული ფორმით წარდგენილი შესრულებული სამუშაოს მიხედვით, თვეში განხორციელებული მომსახურების (ვიზიტის) შესაბამისად, ამ დანართის მე-2 მუხლით განსაზღვრული პირობის გათვალისწინებით. ამასთან, ერთი მომსახურების (ვიზიტის) ღირებულებაა 19 ლარი.“.

3. №1.3 დანართის („ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამა“):

ა) მე-4 მუხლის:

ა.ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ დანართის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ღონისძიებების შესაბამისი მომსახურების (ათდღიანი კურსის) ღირებულების ასანაზღაურებლად გამოიყენება არამატერიალიზებული ვაუჩერი, რომელიც ანაზღაურდება ბენეფიციარის 18 წლის ასაკის მიღწევის თვის ჩათვლით, სააგენტოს მიერ განსაზღვრული ფორმით წარდგენილი შესრულებული სამუშაოს მიხედვით. ათდღიანი კურსი უნდა შედგებოდეს ჯამში 22 სეანსისგან, რომელიც უნდა მოიცავდეს ამ დანართის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ღონისძიებებს, ინდივიდუალური აბილიტაციის/რეაბილიტაციის გეგმის შესაბამისად. 30 კალენდარული დღის განმავლობაში უნდა ჩატარდეს ერთი ათდღიანი კურსი და კურსებს შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 კალენდარული დღისა (გარდა გადაუდებელი საჭიროების მქონე შემთხვევისა (მაგალითად, პოსტოპერაციული პერიოდი, პირველადი მიმართვა, რომელიც არ უნდა სცდებოდეს 1 წელს, რაც დასტურდება ინტერდისციპლინური გუნდის დასკვნით). იმ შემთხვევაში, თუ კურსის დაწყებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში ამ დანართის მე-2 მუხლით განსაზღვრული ღონისძიებების შესაბამისი მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით არ ჩატარდა ერთი კურსით გათვალისწინებული 22 სეანსი, ჯამურად გადასარიცხი თანხის ოდენობა გამოიანგარიშება ჩატარებული სეანსების რაოდენობის ნამრავლით 15 ლარზე, მაგრამ არაუმეტეს 330 ლარისა.“;

ა.ბ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. წლის განმავლობაში ფინანსდება 11 000 კურსი, ამასთან, ერთ ბენეფიციარზე – არაუმეტეს 8 კურსისა. ბენეფიციარს შეუძლია, მიიღოს პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება ერთზე მეტ სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციაში. სერვისის მიმწოდებლებს შორის ბენეფიციართა რეფერირებისა და ინდივიდუალური რეაბილიტაციის/ აბილიტაციის გეგმის ცვლილების წესი მტკიცდება სააგენტოს დირექტორის ბრძანებით. ამასთან, ამ ქვეპროგრამის მოსარგებლე არ შეიძლება იყოს სამიზნე ჯგუფში განსაზღვრული ძირითადი დიაგნოზის – R62.0-ის მქონე ბავშვი, რომელიც ჩართულია დანართ №1.2-ით გათვალისწინებულ ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამაში.“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა.გ) მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) გაწეული მომსახურება ანაზღაურდება სააგენტოს მიერ განსაზღვრული ფორმით წარდგენილი შესრულებული სამუშაოს მიხედვით, არაუმეტეს თვეში 250 ლარის ოდენობით;“.

4. №1.5 **დანართის („დღის ცენტრებში მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა“):**

ა) მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ყოველდღიური (შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა), 6 საათის განმავლობაში მომსახურება მინიმუმ ერთჯერადი კვებით. ამასთან, ბენეფიციარებისათვის ცენტრში გატარებული მინიმალური დრო არ უნდა იყოს 3 საათზე ნაკლები;“;

ბ) მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) 6-დან 18 წლამდე ასაკის მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვი, რომელიც არ განეკუთვნება შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვის კატეგორიას და რომლის ოჯახიც რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში. ამასთან, ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური შეფასებით დადგენილი სარეიტინგო ქულა დღის ცენტრის მომსახურებაში ბავშვის ჩართვის შესახებ განცხადების წარდგენის დღისთვის არ უნდა აღემატებოდეს 100 000-ს. ასევე ამავე ასაკობრივი ჯგუფის ბავშვები, რომლებიც არ განეკუთვნებიან შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვთა კატეგორიას და რომელთა ოჯახებიც იღებენ რეინტეგრაციის შემწეობას ან იმყოფებიან ნათესაურ მინდობით აღზრდაში. ერთდროულად ამ ქვეპუნქტით განსაზღვრული ბენეფიციარების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 674-ს;

ბ) 6-დან 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვები, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვები, რომელთა ოჯახებიც იღებენ რეინტეგრაციის შემწეობას ან იმყოფებიან მინდობით აღზრდაში და არიან წინა წლების დღის ცენტრების ქვეპროგრამის ბენეფიციარები. ასევე შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ის ბავშვები, რომლებიც არიან „მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მომსახურების უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ ან „მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის ან ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვთა სპეციალიზებული საოჯახო ტიპის მომსახურების ქვეპროგრამის“ ბენეფიციარები, ან იმყოფებიან მინდობით აღზრდაში და არ არიან წინა წლების დღის ცენტრებში მომსახურების უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ბენეფიციარები და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის მიერ შეფასების ფორმის რეკომენდაციის ნაწილში მითითებული აქვთ დღის ცენტრის მომსახურების მიღების საჭიროება. ერთდროულად ამ ქვეპუნქტით განსაზღვრული ბენეფიციარების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 1026-ს;

გ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი. ერთდროულად ამ ქვეპუნქტით განსაზღვრული ბენეფიციარების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 756-ს;“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გ) მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების დღის ცენტრის მომსახურების მიმწოდებელმა ორგანიზაციამ სააგენტოს უნდა აცნობოს თითოეული კონკრეტული ისეთი შემთხვევის თაობაზე, როდესაც ბენეფიციარზე გაცემული ვაუჩერი წარდგენილ იქნა ბენეფიციარის მიერ, მაგრამ შესაბამისი მომსახურებით არ უსარგებლია იმავე პერიოდში. ორგანიზაციის შეტყობინების საფუძველზე სოციალურმა მუშაკმა დაუყოვნებლივ უნდა მოახდინოს საქმის შესწავლა, რომლის დასკვნის შესაბამისად განიხილება ვაუჩერის შეჩერების/გაუქმების საკითხი. ვაუჩერის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სააგენტო;“;

დ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ვაუჩერის გაცემა წარმოებს არაუმეტეს შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში რეგისტრირებულ მიმწოდებელთა მომსახურების შესაძლებლობის ჯამური ლიმიტისა და ჩამოთვლილ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში სამიზნე ჯგუფების მიხედვით დაწესებული, ერთდროულად მოქმედი ვაუჩერების შემდეგი ლიმიტებისა, რომელთა ცენტრალიზებულ კოორდინაციას ახორციელებს სააგენტო. ვაუჩერი მოქმედებს მხოლოდ იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ (მუნიციპალურ) ერთეულში, რომელშიც იქნა იგი გაცემული. ამასთან, ბენეფიციარის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე, შესაძლებელია, ვაუჩერის გაცემა იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულისთვის, რომელისთვისაც იქნა იგი მოთხოვნილი. ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში ვაუჩერის გაცემის დროს პრიორიტეტი ენიჭებათ იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში მცხოვრებ ბენეფიციარებს, რომელშიც ხორციელდება დღის ცენტრებში მომსახურების უზრუნველყოფის ქვეპროგრამა.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

№	ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული	ამ დანართის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირები	ამ დანართის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირები	ამ დანართის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირები	ამ დანართის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირები
1	ქ. თბილისი	292	242	431	42
2	ქ. ქუთაისი	55	75	70	16
3	ქ. რუსთავი	29	15	44	
4	ქ. ბათუმი	-	50		
5	გორის მუნიციპალიტეტი	70	30	15	
6	ქარელის მუნიციპალიტეტი	10	15		
7	თერჯოლის მუნიციპალიტეტი	-	26		
8	სამტრედიის მუნიციპალიტეტი		16		
9	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი	15	40	30	
10	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	30	25		
11	თელავის მუნიციპალიტეტი	-	23	38	
12	გურჯაანის მუნიციპალიტეტი	-	14	33	
13	ქ. ფოთი	-	25		
14	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	25	14		
15	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	-	20		
16	მცხეთის მუნიციპალიტეტი	-	45	28	
17	თიანეთის მუნიციპალიტეტი	30	-		
18	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	24	-		
19	ჭიათურის მუნიციპალიტეტი	45	-		
20	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	24	-		
21	ასპინძის მუნიციპალიტეტი	10			

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

22	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი		20		
23	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი		15		
24	საჩხერის მუნიციპალიტეტი		18		
25	ქ. წნორი		19		
26	ბორჯომის მუნიციპალიტეტი		30	10	
27	კასპის მუნიციპალიტეტი		20		
28	ხონის მუნიციპალიტეტი		15	20	
29	ტყიბულის მუნიციპალიტეტი		15		
30	ვანის მუნიციპალიტეტი		10	8	
31	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი		20		
32	ხობის მუნიციპალიტეტი		13	14	
33	ახმეტის მუნიციპალიტეტი	15			
34	წალკის მუნიციპალიტეტი		10		
35	სიღნაღის მუნიციპალიტეტი, გარდა ქ. წნორისა		11	15	
36	მარნეულის მუნიციპალიტეტი		20		
37	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი		20		
38	ხაშურის მუნიციპალიტეტი		20		
39	ბოლნისის მუნიციპალიტეტი		20		
40	საგარეჯოს მუნიციპალიტეტი		15		
41	მესტიის მუნიციპალიტეტი		10		
42	მუხრანის მუნიციპალიტეტი		30		
	ხელ ხელეგიაარა	**674**	**1026**	**756**	**58.°.**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

5. №1.6.1 **დანართის („სავარძელ-ეტლებით უზრუნველყოფისა და შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის კომპონენტი“)**:

ა) **მე-3 მუხლის**:

ა.ა) **პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„1. კომპონენტის სამიზნე ჯგუფს განეკუთვნებიან სავარძელ-ეტლის საჭიროების მქონე პირები, მათ შორის, შშმ პირები და 6-დან 18 წლამდე შშმ ბავშვები.“;

ა.ბ) **მე-2 პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„დ) მექანიკური სავარძელ-ეტლის მოთხოვნის შემთხვევაში – დამხმარე საშუალების გაცემა შესაძლებელია სამედიცინო დოკუმენტაციის ფორმა №IV-100/ა-ის საფუძველზეც, რომლის მიხედვით აღნიშნული დამხმარე საშუალების მაძიებლის სამედიცინო დიაგნოზი შეესაბამება ამავე დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის №4 დანართით განსაზღვრულ ჩამონათვალს. ამასთან, მითითებული იქნება ამ კომპონენტით გათვალისწინებული მექანიკური სავარძელ-ეტლის საჭიროება. ამასთან, მექანიკური სავარძელ-ეტლის მოთხოვნის შემთხვევაში, ამ პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარდგენა არ არის საჭირო;

ე) სასკოლო ასაკის (6-დან 14 წლამდე) შშმ ბავშვის შემთხვევაში – სკოლის/დღის ცენტრის/სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების (რომლის მოსწავლედ/მომსახურების მიმღებადაც ითვლება აღნიშნული პირი) ადმინისტრაციის წარმომადგენლისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი, დადასტურებული დოკუმენტი ელექტროსავარძელ-ეტლის დამოუკიდებლად სარგებლობის შესაძლებლობისა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ არ იქნება წარდგენილი დადასტურებული აღნიშნული დოკუმენტი შეფასებისა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობის შესახებ – 6-დან 14 წლამდე ასაკის შშმ ბავშვს გადაეცემა მექანიკური სავარძელ-ეტლი;“.

6. №1.10 **დანართის („მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა“) მე-4 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„6. მცირე საოჯახო ტიპის სახლში განთავსებულ ბენეფიციარს 18 წლის ასაკის მიღწევის თვეს უფლება აქვს, მიიღოს შესაბამისი მომსახურება იმავე ქვეპროგრამის მომსახურების მიმწოდებლისგან, რომლისგანაც იღებდა მომსახურებას წინა თვეს. ამასთან, თუ მცირე საოჯახო ტიპის სახლში მცხოვრები ბენეფიციარი, რომელსაც შეუსრულდა 18 წელი, არის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლე, მას უფლება აქვს, მიიღოს მცირე საოჯახო ტიპის სახლის მომსახურება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დამთავრების თვის ჩათვლით პერიოდში იმავე ქვეპროგრამის მიმწოდებლისგან, რომლისგანაც იღებდა მომსახურებას 18 წლის ასაკის მიღწევის თვეს.“.

7. №1.11 **დანართის („მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა“)**:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა) მე-2 მუხლის „გ.კ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ.კ) ბავშვის ინდივიდუალური მომსახურების გეგმის შემუშავებას, მისი შესრულებისა და პერიოდული გადასინჯვის უზრუნველყოფას;“;

ბ) მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქვეპროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 1 083 400 ლარით.“.

8. **№1.12 დანართის („სათემო ორგანიზაციებში მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა“) მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„4. ამ ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ერთდროულად მოსარგებლე პირთა რაოდენობა, ამ დანართის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების შემთხვევაში, არ უნდა აღემატებოდეს 280-ს, ხოლო „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების შემთხვევაში – 30-ს.“.

9. **№1.13 დანართის („განვითარების მძიმე და ღრმა შეფერხების მქონე ბავშვთა ბინაზე მოვლით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა“) მე-4 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„3. ვაუჩერი ფინანსდება არაუგვიანეს მომსახურების გაწევის შემდგომი თვის ამოწურვამდე. ამასთან, მიმწოდებელი ვალდებულია, მომსახურების გაწევის თვის მომდევნო თვის 5 რიცხვის ჩათვლით სააგენტოს წარუდგინოს მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი, დათარიღებული და ბეჭდით დამოწმებული დოკუმენტი, რომელშიც ასახულია ბენეფიციარის მიერ წინა თვეში ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით სარგებლობის მონაცემები, წინა თვის განმავლობაში მიღებული მომსახურების სახეობების, ჯერადობისა და მომსახურების ჩატარების ადგილის მითითებით, რაც დადასტურებული უნდა იყოს ბენეფიციარის კანონიერი წარმომადგენლის ხელმოწერით. დოკუმენტის ფორმას განსაზღვრავს სააგენტო.

4. მომსახურება ანაზღაურდება სააგენტოს მიერ განსაზღვრული ფორმით წარდგენილი შესრულებული სამუშაოს მიხედვით. ამასთან, ვაუჩერის ერთი თვის ტალონის დაფინანსების ლიმიტია 300 ლარი. ამასთან, თუ წინა თვეში გაწეული მომსახურებების ჯერადობა 44-ზე ნაკლებია, მომსახურების მიწოდების თვის ვაუჩერის შესაბამის ტალონზე ასანაზღაურებელი თანხა გამოიანგარიშება წინა თვეში მომსახურების მოთხოვნილი სეანსების მინიმუმსა და ფაქტობრივად გაწეულ ჯერადობებს შორის სხვაობის ნამრავლით 6.82 ლარის ოდენობაზე.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე, ხოლო პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ა.გ“ ქვეპუნქტის მოქმედება გავრცელდეს 2019 წლის 1 ივნისიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

პრემიერ - მინისტრი მამუკა ბახტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №344

2019 წლის 24 ივლისი, ქ. თბილისი

„სატრანსპორტო საშუალებათა რეგისტრაციის ნომრის (სახელმწიფო სანომრე ნიშნები), შიდა ტრანზიტის, ტრანზიტული ნომრისა და „TEST“ ნომრის ნიმუშის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 აპრილის №278 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სატრანსპორტო საშუალებათა რეგისტრაციის ნომრის (სახელმწიფო სანომრე ნიშნები), შიდა ტრანზიტის, ტრანზიტული ნომრისა და „TEST“ ნომრის ნიმუშის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 აპრილის №278 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 10/04/2014, 310150000.10.003.017898) შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი მუხლის პირველი პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

„1^1. ამ მუხლის პირველი პუნქტის „მ“ – „ო“ ქვეპუნქტებით დამტკიცებული ნიმუშის რეგისტრაციის ნომრები (სახელმწიფო სანომრე ნიშანი) გაიცემა საპატიო კონსულებზეც.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №345

2019 წლის 24 ივლისი, ქ. თბილისი

„შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ მიერ საქონლისა და მომსახურების შესყიდვის სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 5 სექტემბრის №418 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, „შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ მიერ საქონლისა და მომსახურების შესყიდვის სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 5 სექტემბრის №418 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 06/09/2017, 300160070.10.003.020127) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ მიერ საქონლისა და მომსახურების შესყიდვის სპეციალური წესის“:

1. **მე-2 მუხლის „ ყ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„ყ) სტიმულირების პროგრამა – შემსყიდველის მიერ შემუშავებული სტიმულირების პროგრამა, რომლის პირობების გათვალისწინებით გაფორმებული სტიმულირების ხელშეკრულება ითვალისწინებს საქართველოს აეროპორტებში ავიამიმართულებების, სიხშირეების ან/და მგზავრთნაკადის ზრდის უზრუნველყოფის მარკეტინგული მომსახურების შესყიდვას. სტიმულირების პროგრამის ფარგლებში მტკიცდება ავიაკომპანიის ბაზირების, ახალი პრიორიტეტული მიმართულების, ახალი სტრატეგიული მიმართულების, არსებული სტრატეგიული მიმართულებისა და პრიორიტეტული სატრანზიტო მიმართულების სტიმულირების პროგრამები;“.

2. **მე-5 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის** 10^{8} – 10^{14} **პუნქტები**:

„10^{8}. პრიორიტეტული სატრანზიტო მიმართულების სტიმულირების ხელშეკრულება ფორმდება ავიაკომპანიასთან, რომელიც შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ან ალექსანდრე ქართველის სახელობის ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში შეასრულებს ფრენებს პრიორიტეტული სატრანზიტო მიმართულებით.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

10^{9}. სტიმულირების ხელშეკრულების მიზნებისათვის პრიორიტეტულ სატრანზიტო მიმართულებებად ითვლება რუსეთის ფედერაცია-ერევანი-ბათუმი-ერევანი-რუსეთის ფედერაციისა და რუსეთის ფედერაცია-ერევანი-თბილისი-ერევანი-რუსეთის ფედერაციის მიმართულებები, თუკი სახეზეა რეგულარული სატრანზიტო ფრენა და ხორციელდება მგზავრების თბილისის ან ბათუმის აეროპორტის მიმართულებით გადაყვანა რუსეთის ფედერაციის ნებისმიერი აეროპორტიდან, რომლიდანაც ხდება მოგზაურობის დაწყება (და ასევე ხორციელდება საპირისპირო მიმართულებით ფრენა რუსეთის ფედერაციის მიმართულებით) და ერევნის საერთაშორისო აეროპორტი გამოიყენება სატრანზიტო აეროპორტად.

10^{10}. ხელშეკრულების ღირებულება უნდა განისაზღვროს არაუმეტეს 90 (ოთხმოცდაათი) ევროს ოდენობით დღგ-ის გარეშე, თითოეულ ისეთ ჩამომფრენ მგზავრზე, რომელთა მგზავრობაც დაიწყო რუსეთის ფედერაციაში და დასრულდა ალექსანდრე ქართველის სახელობის ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში ან შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის საერთაშორისო აეროპორტში. სტიმულირების პროგრამის ფარგლებში, ორივე მიმართულებისათვის, ჯამური ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 600 000 ევროს დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე.

10^{11}. პრიორიტეტული სატრანზიტო მიმართულების სტიმულირების ხელშეკრულების ფარგლებში ავიაკომპანიამ უნდა უზრუნველყოს წლის განმავლობაში უწყვეტად, კვირაში, სულ მცირე, 2 სიხშირის შესრულება თითოეულ პრიორიტეტულ სატრანზიტო მიმართულებაზე.

10^{12}. შემსყიდველი უფლებამოსილია, პრიორიტეტული სატრანზიტო მიმართულების სტიმულირების ხელშეკრულება თითოეულ მიმართულებაზე ერთ ავიაკომპანიასთან გააფორმოს არაუმეტეს 1 (ერთი) წლის ვადით.

10^{13}. იმ შემთხვევაში, თუ პრიორიტეტული სატრანზიტო მიმართულების სტიმულირების ხელშეკრულების გაფორმების მოთხოვნით შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანებას“ მიმართავს ერთზე მეტი ავიაკომპანია და მათგან ორი ან მეტი აკმაყოფილებს პრიორიტეტული სატრანზიტო მიმართულების სტიმულირების ხელშეკრულების გაფორმებისათვის დადგენილ მოთხოვნებს, ხელშეკრულების გაფორმების რიგითობა განისაზღვრება ამ ავიაკომპანიების მიერ მოთხოვნის წარდგენის დროის მიხედვით, თანმიმდევრობით. პირველი ხელშეკრულება გაფორმდება ავიაკომპანიასთან, რომელმაც პირველმა მიმართა შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანებას“.

10^{14}. იმ შემთხვევაში, თუ თითოეულ პრიორიტეტულ სატრანზიტო მიმართულებაზე გაფორმდება სტიმულირების 2 ხელშეკრულება, შემსყიდველი უფლებამოსილია, უარი თქვას პრიორიტეტული სატრანზიტო მიმართულების სტიმულირების შემდგომი ხელშეკრულებების გაფორმებაზე.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №222

2019 წლის 16 ივლისი, ქ. თბილისი

„მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდაღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდაღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებით (სსმ III, 31.12.2010, №172, სარეგისტრაციო კოდი: 200090000.22.033.016105) დამტკიცებული წესის 81-ე მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 81^1 მუხლი:

„მუხლი 81^1. საგადასახადო ორგანოს მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 158-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენა

1. განსაკუთრებული უფლების მფლობელი (ან მისი წარმომადგენელი) უფლებამოსილია განცხადებით (ამ მუხლის მიზნებისთვის შემდგომში – განცხადება) მიმართოს საგადასახადო ორგანოს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 158-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის (ამ მუხლის მიზნებისთვის შემდგომში – სამართალდარღვევა) გამოვლენისა და აღკვეთის მოთხოვნით.

2. განცხადება უნდა შეიცავდეს:

ა) განმცხადებლის სახელს (სახელწოდებას) და მისამართს;

ბ) ინფორმაციას სამართალდარღვევის ფაქტის არსებობის თაობაზე;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გ) სხვა მონაცემებს, რომელიც დაეხმარება საგადასახადო ორგანოს სამართალდარღვევის გამოვლენაში. მათ შორის, ინფორმაციას (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

გ.ა) სამართალდარღვევის გამომწვევი საქონლის მწარმოებლის, რეალიზატორის ან/და იმპორტიორის შესახებ;

გ.ბ) სამართალდარღვევის გამომწვევი საქონლის წარმოშობის ან/და მდებარეობის შესახებ;

გ.გ) სამართალდარღვევის გამომწვევი საქონლის სასაქონლო პარტიის, შეფუთვის იდენტიფიცირებისთვის საჭირო დეტალების შესახებ;

გ.დ) სამართალდარღვევის გამომწვევი საქონლის გადაადგილების, გამოყენებული სატრანსპორტო საშუალების, საქონლის გამგზავნის, მიმღების ან მფლობელის შესახებ;

გ.ე) განსაკუთრებული უფლების მფლობელის მიერ წარმოებულ საქონელსა და სამართალდარღვევის გამომწვევ საქონელს შორის არსებული განმასხვავებელი ნიშნების შესახებ;

დ) საკონტაქტო პირის სახელს, გვარს, მისამართსა და სხვა საკონტაქტო ინფორმაციას.

3. განცხადებას უნდა ერთოდეს:

ა) სასაქონლო (მომსახურების) ნიშანზე განსაკუთრებული უფლების ან/და რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის გამოყენების უფლების დამადასტურებელი, უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული დოკუმენტი;

ბ) სამართალდარღვევის გამომწვევი საქონლის შესყიდული ნიმუშის(ების) ფოტოსურათი და ამ ნიმუშის(ების) შესყიდვის დამადასტურებელი საბუთი (სასაქონლო ზედნადები, საკონტროლო-სალარო აპარატის ჩეკი ან უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით თანხის გადახდის დოკუმენტი). ამასთან, საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია მოითხოვოს ამ ქვეპუნქტში აღნიშნული შესყიდული საქონლის ნიმუში(ები);

გ) ამ პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტში მითითებული საქონლის ნიმუშზე განსაკუთრებული უფლების მფლობელის (ან მისი წარმომადგენლის) მიერ გაცემული დასკვნა, რომელიც ადასტურებს, რომ საქონელი არ არის წარმოებული განსაკუთრებული უფლების მფლობელის მიერ ან მისი ნებართვის საფუძველზე, რის გამოც სახეზეა განსაკუთრებული უფლების დარღვევა.

4. თუ განცხადება არ აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, საგადასახადო ორგანო განსაკუთრებული უფლების მფლობელს (ან მის წარმომადგენელს) აცნობებს აღნიშნულის თაობაზე და განუსაზღვრავს გონივრულ ვადას ხარვეზის გამოსასწორებლად. განსაკუთრებული უფლების მფლობელის (ან მისი წარმომადგენლის) მიერ ხარვეზის აღმოფხვრამდე განცხადების განხილვა ჩერდება.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

5. განცხადების განხილვისას, თუ საგადასახადო ორგანო მიიჩნევს, რომ შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს სამართალდარღვევის ფაქტს, საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის საფუძელზე უშუალოდ ობიექტზე დაათვალიეროს და სამოქალაქო ბრუნვიდან ამოიღოს შესაბამისი საქონელი. საქონლის ამოღების შემთხვევაში დგება ,,საქონლის ამოღების შესახებ ოქმი“.

6. ,,საქონლის ამოღების შესახებ ოქმში“ უნდა მიეთითოს ამოღებული საქონლის დასახელება, რაოდენობა, მოცულობა და სხვა განსაკუთრებული ნიშნები.

7. ამოღებული საქონელი გადატანილი უნდა იქნეს საგადასახადო ორგანოს მიერ განსაზღვრულ ადგილზე ან შესანახად გადაეცეს პირს (მათ შორის, ამოღების ადგილზე), რომელიც იღებს პასუხისმგებლობას საქონლის შენახვაზე. საქონლის შენახვაზე პასუხისმგებელ პირს უნდა განემარტოს, რომ შესანახად გადაცემული საქონლის განკარგვის, დაკარგვის ან განადგურების შემთხვევაში მას დაეკისრება პასუხისმგებლობა კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთან, აღნიშნული პირი ხელს აწერს ,,საქონლის ამოღების შესახებ ოქმს“.

8. საჭიროების შემთხვევაში, ამოღებული საქონელი საგადასახადო ორგანოს მიერ შეიძლება დაილუქოს ამოღების ადგილზე ან/და განხორციელდეს მისი ნიშანდება იდენტიფიკაციის საშუალებებით. ლუქის დადების/ახსნის შესახებ ინფორმაცია აისახება ,,ლუქის დადების/ახსნის შესახებ ოქმში“ ან აღნიშნულის შესახებ მიეთითება ,,საქონლის ამოღების შესახებ ოქმში“.

9. სამართალდარღვევის ფაქტის დადასტურების მიზნით, განსაკუთრებული უფლების მფლობელი (ან მისი წარმომადგენელი), საქონლის მფლობელის (ან მისი წარმომადგენლის) და საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის თანდასწრებით ადგილზევე ამოწმებს ამოღებულ საქონელს (ხოლო, საჭიროების შემთხვევაში, ახდენს მის ფოტო/ვიდეო გადაღებას), რაზედაც დგება ,,საქონლის შემოწმების ოქმი“ ან აღნიშნულის შესახებ მიეთითება ,,საქონლის ამოღების შესახებ ოქმში“ და 10 სამუშაო დღის ვადაში (მალფუჭებადი საქონლის შემთხვევაში – 3 სამუშაო დღის ვადაში) საგადასახადო ორგანოს წარუდგენს დასაბუთებულ დასკვნას.

10. ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებულ დასკვნაში აღინიშნება ინფორმაცია, წარმოებულია თუ არა საქონელი განსაკუთრებული უფლების მფლობელის მიერ ან მისი ნებართვის საფუძველზე და ირღვევა თუ არა განსაკუთრებული უფლება. დასკვნა ასევე უნდა მოიცავდეს მითითებას, რომ მისი ხელმომწერი ინფორმირებულია ყალბი დასკვნის შედგენის ან ჩვენების მიცემის შემთხვევაში მოსალოდნელი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ.

11. ამოღებულ საქონელზე ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული დასკვნის შედგენის მიზნით, განსაკუთრებული უფლების მფლობელს (ან მის წარმომადგენელს) უფლება აქვს მოითხოვოს დასკვნის მომზადების ვადის 5 სამუშაო დღით გაგრძელება. მალფუჭებადი საქონლის შემთხვევაში ვადის გაგრძელება დაუშვებელია.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

12. ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული დასკვნის საფუძველზე, სამართალდარღვევის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანო ადგენს სამართალდარღვევის გამომწვევი საქონლის რაოდენობასა და საბაზრო ღირებულებას.

13. ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული დასკვნის საფუძველზე, სამართალდარღვევის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში, სამართალდარღვევის გამომწვევი საქონლის რაოდენობისა და საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით:

ა) საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი ადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს (გარდა ამავე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა), რომელიც განსახილველად იგზავნება სასამართლოში;

ბ) საქმის მასალები, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის გარეშე, გადაეცემა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს.

14. ამოღებული საქონელი, რომელიც ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული დასკვნის მიხედვით ან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით არ წარმოადგენს სამართალდარღვევის საგანს, დაუყოვნებლივ უბრუნდება საქონლის მფლობელს.

15. განსაკუთრებული უფლების მფლობელს (ან მის წარმომადგენელს), რომლის განცხადების საფუძველზეც დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება, უფლება აქვს საგადასახადო ორგანოსგან მოითხოვოს და მიიღოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების მასალების ასლები.

16. საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია, საჭიროებისამებრ განახორციელოს ამ მუხლით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები:

ა) საკუთარი ინიციატივით, განსაკუთრებული უფლების მფლობელის (ან მისი წარმომადგენლის) მიმართვის გარეშე, მათ შორის, მიმდინარე კონტროლის პროცედურების განხორციელებისას გამოვლენილი სამართალდარღვევის ფაქტის შემთხვევაში;

ბ) სამართალდამცავი ორგანოს მიერ სამართალდარღვევის ფაქტის შესახებ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ივანე მაჭავარიანი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №223

2019 წლის 17 ივლისი, ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით (ვებგვერდი, 31/07/2012, სარეგისტრაციო კოდი: 230210000.22.033.016424) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. **მე-4 მუხლის**:

ა) **მე-4 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს**;

ბ) 5^2 **პუნქტი ამოღებულ იქნეს**.

2. **მე-20 მუხლის მე-14 და მე-15 პუნქტები ამოღებულ იქნეს**.

3. 23-ე **მუხლის**:

ა) **მე-2 პუნქტის „ხ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„ხ) „სამშენებლო პროდუქტების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 1 ოქტომბრის №476 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დანართ VI-ში მითითებული საქონლის (სამშენებლო პროდუქტები (ცემენტი, პლასტმასის მილები, არმატურა, ელექტროკაბელები)) იმპორტის შემთხვევაში – საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად შევსებული და დადასტურებული „სამშენებლო პროდუქტის იმპორტის წინასწარი შეტყობინება“. ამასთან, „სამშენებლო პროდუქტის იმპორტის წინასწარ შეტყობინებასთან“ ერთად ელექტრონულად წარდგენილი დოკუმენტები, რომლითაც დასტურდება საქონლის ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობა, მატერიალური სახით ინახება დეკლარანტთან, რომელიც ვალდებულია, მოთხოვნისამებრ წარუდგინოს ისინი საგადასახადო ორგანოს.“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ხ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „სამშენებლო პროდუქტის იმპორტის წინასწარი შეტყობინება“ შემოსავლების სამსახურის ვებგვერდის მეშვეობით წარედგინება შემოსავლების სამსახურსა და სსიპ – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს.“;

გ) მე-4 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2019 წლის 20 ივლისიდან.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ივანე მაჭავარიანი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის

ბრძანება №1-1/331

2019 წლის 8 ივლისი, ქ. თბილისი

„რკინიგზის ტრანსპორტზე/ტრანსპორტში ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევისას შესადგენი საჯარიმო ქვითრისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 **წლის** 26 **ივნისის №**1-1/1381 **ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„რკინიგზის ტრანსპორტზე/ტრანსპორტში ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევისას შესადგენი საჯარიმო ქვითრისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 26 ივნისის №1-1/1381 ბრძანებით (www.matsne.gov.ge, 27/06/2012; სარეგისტრაციო კოდი 310120000.22.024.016184) დამტკიცებულ წესში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

1. **ამ წესის მე-3 მუხლის:**

ა) 4^1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4^1. მგზავრის მიერ მატარებელში თამბაქოს მოწევის შემთხვევაში, თანამშრომელი უფლებამოსილია მოსთხოვოს აღნიშნულ მგზავრს პიროვნების დამადასტურებელი საბუთების წარმოდგენა. თუ მგზავრს არ აქვს პიროვნების დამადასტურებელი საბუთები და არ არსებობს შესაბამისი მოწმე მისი იდენტიფიცირებისთვის, თანამშრომლის ან თანამშრომლის დავალებით, სხვა სათანადოდ უფლებამოსილი პირის მიერ ხორციელდება ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებები.;

ბ) 5^1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით :

„5^1. ამ მუხლის 4^1 პუნქტით გათვალისწინებული პირადი მონაცემების დადგენის შემდეგ, თუ სამართალდამრღვევი სადავოდ არ ხდის მასზე დაკისრებულ სახდელს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 171^1 მუხლის მე-3-4^1 ნაწილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას თანამშრომელი ავსებს საჯარიმო ქვითარს (დანართი 1^1), ხოლო თუ სამართალდამრღვევი არ ეთანხმება მასზე დაკისრებულ ადმინისტრაციულ სახდელს, ამ შემთხვევაში დგება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი (დანართი 2^1), ასევე გამოიწერება საჯარიმო ქვითარი“;

გ) მე-10 პუნქტის „ბ.ვ.ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ.ვ.ბ) დანართი 1^1 -ის შემთხვევაში, მე-6 პუნქტში შეიტანება შემდეგი ფრაზა: „პასუხისმგებლობა აღნიშნული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის განსაზღვრულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 171^1 მუხლის მე-3 ან მე-4 ან 4^1 ნაწილებით“.

2. **ამ წესის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ.ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ვ.ბ) დანართი 2^1-ის შემთხვევაში, მე-6 პუნქტში შეიტანება შემდეგი ფრაზა: „პასუხისმგებლობა აღნიშნული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის განსაზღვრულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 171^1 მუხლის მე-3 ან მე-4 ან 4^1 ნაწილებით“.

3. **ამ წესის 1^1 და 2^1 დანართები დამტკიცდეს თანდართული რედაქციით.**

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ეკონომიკისა და

მდგრადი განვითარების მინისტრი

ნათელა თურნავა

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დანართი 1[1]



ნაწილი I. საჯარიმო ქვითარი N000000

ბ.ა.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი N---
(ოქმება ოქმის არსებობის შემთხვევაში)

1. შეტანის თარიღი: ---------- 2. შედგენის ადგილი: ----------
(რიცხვი, თვე, წელი)

3. შეტანაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, მამის სახელი, გვარი: ----------
---

4. სამართალდამრღვევის მონაცემები: ----------

პირადობის დამადასტურებელი მოწმობის რეკვიზიტები (პირადი ნომერი, სახელი და გვარი).

მისამართი (რეგისტრაციის და სხვა)

5. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი: ---------- დრო :----------

მატარებლის N ---------- მიმართულება: ---------- , ვაგონის N----------,
სამართალდარღვევის ჩადენის დრო: ---------- არსი: ----------

6. პასუხისმგებლობა აღმფხვრელი ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის
განსაზღვრულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 171[1] მუხლის
მე-3 ნაწილით ☐ აბ მე-4 ნაწილით ☐ აბ 4[1] ნაწილით ☐

7. ჯარიმის ოდენობა: ---------- ლარი ------- თეთრი, (----------)
თანხა სიტყვიერად

8.----------
მოქმედ (არსებობის შემთხვევაში) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის რეკვიზიტები

(პირადი ნომერი, სახელი და გვარი), მისამართი (რეგისტრაციის და სხვა)

9. მიმღები მოლარე: ---------- ----------
ხელმოწერა სამეუფეო შემოსავლის სახაზინო კოდი

ოქმის შემდგენელი - ----------
ხელმოწერა
სამართალდამრღვევი ----------
ხელმოწერა, ხელმოწერაზე აბ ქვითრის ჩამორეკვაზე უარის აღნიშვნა

ნაწილი II. საჯარიმო ქვითრის ყუა
N
(ეს ნაწილი რჩება სამაგალითო დამტკიცებულებაში)

1.----------
ჯარიმადადებულის სახელი და გვარი

2. ----------
ჯარიმადადებულის მისამართი

3.---------- ლარი
ჯარიმის ოდენობა

4. სსკ-ის 171[1] მუხლის მე-3 ნაწილი
აბ მე-4 ნაწილი აბ 4[1] ნაწილი

5. ----------
სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი

6.----------
სამეუფეო შემოსავლის სახაზინო კოდი

7. მიმღები მოლარე ---------- ----------
ხელმოწერა

8. შემომტანი ----------
ხელმოწერა

ბ.ა.

თარიღი ----------
რიცხვი, თვე და წელი

საჯარიმო ქვითრის ყუა ოქმება სამაგალითო
დამტკიცებულების აბ საჯარიმო თანხის შემომტანის
მიერ.

საჯარიმო ქვითარის შევსებისას დამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობები:

„ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი; საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით; გამოვიდეს მშობლიურ ენაზე და თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით; გაასაჩივროს საქმის გამო მიღებული დადგენილება (გადაწყვეტილება)“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

პირს მიეცა განმარტება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებებისა და სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების გასაჩივრების 10-დღიანი ვადის შესახებ.

საჯარიმო ქვითრის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული 30-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ გამოყენებული იქნება ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დამკვეთი:

დამამზადებელი:

სფს-ს რეგისტრაციის №

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დანართი 2[1]

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი № 000000 ბ.ა.

1.---------- 2. ----------
მუნიციპალიტეტი, რაიონი, თემი, ქალაქი — მუნიციპალიტეტის ადგილი

3. ----------
მუნიციპალიტეტზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, მამის სახელი, გვარი

4.----------
სამართალდარღვევის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის რეკვიზიტები

(პირადი ნომერი, სახელი და გვარი), მისამართი (რეგისტრაციისა და სხვა)

5. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი: ----------,

მატარებლის N ----------, მიმართულება: ----------, ვაგონის N ----------

სამართალდარღვევის ჩადენის დრო: ----------, ორი ----------.

6. პასუხისმგებლობა ადმინიშნული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის განსაზღვრულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის
171[1] მუხლის მე-3 ნაწილით ☐ ან მე-4 ნაწილით ☐ ან 4[1] ნაწილით ☐

7. ჯარიმის ოდენობა: ---------- ლარი ---------- თეთრი, ----------
(თანხა სიტყვიერად)

8.----------
მოწმის (არსებობის შემთხვევაში) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის რეკვიზიტები

(პირადი ნომერი, სახელი და გვარი), მისამართი (რეგისტრაციისა და სხვა)

9. სამართალდამრღვევის ახსნა-განმარტება: ----------
ახსნა-განმარტების არსებობისას მიეთითება მისი რეკვიზიტები.

ფურცლების რაოდენობა და იმ პირის თანამდებობა, სახელი და გვარი, რომელმაც ჩამოართვა ახსნა-განმარტება

ოქმის შემდგენელი ---------- მოწმე ან სხვა მონაწილე: ----------
ხელმოწერა ხელმოწერა და სტატუსი

სამართალდამრღვევი: ---------- ----------
ხელმოწერა, ხელმოწერაზე ან ოქმის ჩამორთმევაზე უარის აღნიშვნა

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის

ბრძანება №155/ნ

2019 წლის 26 ივლისი, ქ. თბილისი

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის №193/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2018 წლის 5 ივლისის კანონის (დოკუმენტის ნომერი: 3024-რს) მე-2 მუხლის პირველი და მე-8 პუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის №193/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 20/09/2012, სარეგისტრაციო კოდი: 430210000.22.022.016459) და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) კალენდარული წლის პირველი სექტემბრიდან პირველ ოქტომბრამდე;“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლების,

მეცნიერების, კულტურისა და

სპორტის მინისტრი

მიხეილ ბატიაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება №01-53/ნ

2019 წლის 10 ივლისი, ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის №01-64/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის №01-64/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge; 111229047, 29/12/2011; 010240070.22.035.016107) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის:

1. **მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„4.სააგენტოს უფროსის არყოფნის შემთხვევაში უფროსის მოვალეობას ასრულებს სააგენტოს უფროსის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ერთ-ერთი მოადგილე, თუ მინისტრის ბრძანებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.“.

2. **მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს 4^1 პუნქტი შემდეგი რედაქციით**:

„4^1. სააგენტოს უფროსის არყოფნის (უფლებამოსილების შეწყვეტის ან შეჩერების) შემთხვევაში, სააგენტოს ინტერესებიდან გამომდინარე, მინისტრი უფლებამოსილია სააგენტოს უფროსის უფლება-მოვალეობები დროებით დააკისროს სააგენტოს უფროსის ერთ-ერთ მოადგილეს, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი

ეკატერინე ტიკარაძე

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება №01-54/ნ

2019 წლის 19 ივლისი, ქ. თბილისი

„სახელმწიფო პენსიის და სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„სახელმწიფო პენსიის და სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებაში (სსმ III, 2006წ., №19, მუხლი 241) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და ბრძანების:

1. №1 **დანართით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის დანიშვისა და გაცემის წესის“**:

ა) მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა არ ვრცელდება „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“, „ნ“, „ო“, „პ“ და „ჟ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ პირებზე.“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისას, გარდა „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“, „ნ“, „ო“, „პ“ და „ჟ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული კომპენსაციის მიმღები პირებისა;“.

2. №2 დანართით დამტკიცებული „სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვისა და გაცემის წესის“:

ა) მე-7 მუხლის:

ა.ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 7. კომპენსაცია ნამსახურობის ვადის ამოწურვის გამო

1. ნამსახურობის ვადის ამოწურვის გამო კომპენსაციით უზრუნველყოფას ექვემდებარებიან სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებიდან, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან, საქართველოს დაზვერვის სამსახურიდან და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილი პირები, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებიდან – სპეციალური პენიტენციური სამსახურიდან, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტიდან, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციიდან და საგამოძიებო დეპარტამენტიდან დათხოვნილი სამხედრო წოდების ან სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირები, იმავე სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურიდან დათხოვნილი, ზევადიანი სამხედრო წოდების ან სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირები, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საჯარო თანამდებობებიდან გათავისუფლებული პირები, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დანაყოფის თანამდებობებიდან განთავისუფლებული სპეციალური წოდების მქონე პირები, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებიდან – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურიდან და საქართველოს პრემიერ-მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული სპეციალური დანიშნულების სახელმწიფო დაწესებულებიდან – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურიდან და ეროვნული უსაფრთხოების სამსახურიდან დათხოვნილი სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირები:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა) ოფიცრები, ზევადიან, ნებაყოფლობით სამხედრო სამსახურში და სამხედრო რეზერვის პირველ თანრიგში ხელშეკრულებით (კონტრაქტით) მიღებული სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც მსახურობდნენ საქართველოს სამხედრო ძალებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგან ჯარებში, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის სასაზღვრო ძალებში, სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში, დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტში, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სისტემაში;

ბ) სპეციალური წოდების მქონე პირები, რომლებიც მსახურობდნენ სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში;

გ) ოფიცრები, მათ შორის, სამხედრო პროკურატურის, ყოფილი სამხედრო ტრიბუნალის, სამხედრო სასამართლოს ოფიცრები, ზევადიანი, ნებაყოფლობით სამხედრო სამსახურში ხელშეკრულებით (კონტრაქტით) მიღებული სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც მსახურობდნენ ყოფილ სსრ კავშირის და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრ-სახელმწიფოთა შეიარაღებულ ძალებში, შინაგან, სასაზღვრო, სარკინიგზო, სამთავრობო კავშირგაბმულობის, სამოქალაქო თავდაცვის, სამხედრო-სამშენებლო ჯარებში, სახელმწიფო უშიშროების, საგარეო დაზვერვის, სამხედრო იუსტიციის ორგანოებში, სხვა კანონიერ სამხედრო ფორმირებებში, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრ-სახელმწიფოთა შეიარაღებულ ძალებში და მათი ოჯახების წევრები, თუ ამ პირთა საპენსიო უზრუნველყოფის საკითხი სხვაგვარად არ არის დადგენილი საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით;

დ) რიგითი და უფროსი შემადგენლობის პირები, რომლებიც მსახურობდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში, ყოფილი სსრ კავშირის და საქართველოს სსრ-ის, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობისა და თანამეგობრობაში შეუსვლელი სახელმწიფოების შინაგან საქმეთა ორგანოებში, თუ ამ პირთა საპენსიო უზრუნველყოფის საკითხი სხვაგვარად არ არის დადგენილი საქართველოსა და ყოფილ სსრ კავშირში შემავალი მოკავშირე რესპუბლიკების, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობისა და თანამეგობრობაში შეუსვლელ სახელმწიფოებს შორის დადებული ხელშეკრულებით (შეთანხმებით);

ე) პარტიზანები, მოხალისეები, პარტიზანული და მოხალისეთა რაზმების მეთაურები, რომელთა თანამდებობები შეესაბამებოდა ოფიცერთა თანამდებობებს;

ვ) ყოფილი სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოების, სასაზღვრო ჯარების, სხვა კანონიერი სამხედრო სამსახურებიდან დათხოვნილი პენსიონერები, რომლებიც შემდგომ ჩაირიცხნენ საქართველოს სამხედრო ძალების კადრის სამხედრო სამსახურში.“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა.ბ) მე-7 მუხლს 3^3 პუნქტის შემდეგ დაემატოს 3^4 და 3^5 პუნქტები:

„3^4. ნამსახურობის ვადის ამოწურვის გამო კომპენსაციით უზრუნველყოფას ექვემდებარებიან სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დანაყოფის თანამდებობიდან განთავისუფლებული სპეციალური წოდების მქონე პირები, თუ მათ აქვთ ნამსახურობის არანაკლებ 20 წელი. ნამსახურობაში, გარდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დანაყოფში ნამსახურობისა, შედის შემდეგ ორგანოებში ნამსახურობა: სამხედრო, შინაგან საქმეთა, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის და პროკურატურის ორგანოები, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სპეციალური პენიტენციური სამსახური, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექცია და საგამოძიებო დეპარტამენტი, იმავე სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახური, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატი, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური (2009 წლის დეკემბრამდე), საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიცია, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგანგებო ლეგიონი, საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საგანგებო ლეგიონი, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური, აგრეთვე მოსამართლედ ან მის თანაშემწედ მუშაობა.

3^5. ნამსახურობის ვადის ამოწურვის გამო კომპენსაციით უზრუნველყოფას ექვემდებარებიან ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატიდან დათხოვნილი სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურეები, თუ მათ აქვთ ნამსახურობის არანაკლებ 20 კალენდარული წელი. ნამსახურობაში, გარდა ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატში ნამსახურობისა, შედის აგრეთვე სამხედრო, შინაგან საქმეთა, იუსტიციის, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის, საქართველოს დაზვერვის სამსახურის, სახელმწიფო უშიშროების, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, პროკურატურის ორგანოებსა და სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატში სამსახური.“;

ა.გ) მე-4 **პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„4. ამ მუხლის პირველ, მე-2, მე-3, 3^1, 3^2, 3^3, 3^4 და 3^5 პუნქტებში ჩამოთვლილ პირებს, დადგენილ წელთა ნამსახურობის გამო, კომპენსაცია განესაზღვრებათ შემდეგი ოდენობებით:

ა) 65 წლის და მეტი ასაკიდან დანიშვნის შემთხვევაში – პენსიის ოდენობას დამატებული:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა.ა) საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებისათვის (გარდა ოფიცრებისა) ან უმცროსი სპეციალური წოდების მქონე პირებისათვის – ზემოხსენებულ ორგანოებში ნამსახურობის წლების ნამრავლი 2 ლარზე;

ა.ბ) საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო სამსახურის უმცროსი ოფიცრების შემადგენლობისათვის ან საშუალო სპეციალური წოდების მქონე პირებისათვის – ზემოხსენებულ ორგანოებში ნამსახურობის წლების ნამრავლი 5 ლარზე;

ა.გ) კადრის სამხედრო სამსახურის უფროსი ოფიცრების შემადგენლობისათვის ან უფროსი სპეციალური წოდების მქონე პირებისათვის – ზემოხსენებულ ორგანოებში ნამსახურობის წლების ნამრავლი 10 ლარზე;

ა.დ) კადრის სამხედრო სამსახურის უმაღლესი ოფიცრების შემადგენლობისათვის ან უმაღლესი სპეციალური წოდების მქონე პირებისათვის – ზემოხსენებულ ორგანოებში ნამსახურობის წლების ნამრავლი 15 ლარზე;

ბ) 65 წლამდე დანიშვნის შემთხვევაში – ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად განსაზღვრული კომპენსაციის 80%.“;

ბ) 7^1 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში პროკურატურიდან დათხოვნისას პროკურატურის თანამშრომელს კომპენსაცია ენიშნება, თუ მას აქვს ამავე პუნქტით განსაზღვრულ ორგანოში/ორგანოებში სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 20 წლის სტაჟი (მათ შორის, პროკურატურის სისტემაში – არანაკლებ 4 წლის სტაჟი). მუშაობის 20 წლის სტაჟში ჩაითვლება შინაგან საქმეთა, იუსტიციის, სახელმწიფო უშიშროების, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის, პროკურატურის და სასამართლო ხელისუფლების ორგანოებში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საგამოძიებო დანაყოფში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში და საგამოძიებო დეპარტამენტში, იმავე სამინისტროს სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში, 2011 წლის 11 მარტამდე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, 2011 წლის 11 მარტიდან 2011 წლის 3 ივნისამდე საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შესაბამის საგამოძიებო დანაყოფებში სპეციალობით მუშაობა, აგრეთვე კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული სხვა ორგანოების შესაბამის საგამოძიებო დანაყოფებში სპეციალობით მუშაობა. ამ კომპენსაციის ოდენობა არის:

ა) უმაღლესი სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირისათვის – სახელმწიფო პენსიას დამატებული სახელმწიფო პენსიის 20%-ის შესაბამის სტაჟზე ნამრავლი;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) უფროსი სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირისათვის – სახელმწიფო პენსიას დამატებული სახელმწიფო პენსიის 15%-ის შესაბამის სტაჟზე ნამრავლი;

გ) საშუალო სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირისათვის – სახელმწიფო პენსიას დამატებული სახელმწიფო პენსიის 10%-ის შესაბამის სტაჟზე ნამრავლი.";

გ) მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებიდან, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან, საქართველოს დაზვერვის სამსახურიდან და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირებს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებიდან – სპეციალური პენიტენციური სამსახურიდან, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტიდან, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციიდან და საგამოძიებო დეპარტამენტიდან დათხოვნილ სამხედრო წოდების ან სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირებს, იმავე სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურიდან დათხოვნილ, ზევადიან სამხედრო წოდების ან სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირებს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საჯარო თანამდებობებიდან გათავისუფლებული პირებს, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დანაყოფის თანამდებობებიდან განთავისუფლებული სპეციალური წოდების მქონე პირები, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებიდან – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურიდან და საქართველოს პრემიერ-მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული სპეციალური დანიშნულების სახელმწიფო დაწესებულებიდან – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურიდან და ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატიდან დათხოვნილ სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირებს;";

დ) მე-11 მუხლის:

დ.ა) პირველ პუნქტს დაემატოს „დ" და „ე" ქვეპუნქტები:

„დ) სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების პერიოდში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დანაყოფში მომუშავე სპეციალური წოდების მქონე პირის გარდაცვალების შემთხვევაში კომპენსაცია ენიშნებათ გარდაცვლილის შვილებს 18 წლის ასაკის მიღწევამდე და მის შრომისუუნარო მეუღლეს;

ე) სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების პერიოდში ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატში მომუშავე სპეციალური წოდების მქონე პირის გარდაცვალების შემთხვევაში კომპენსაცია ენიშნებათ გარდაცვლილის შვილებს 18 წლის ასაკის მიღწევამდე.";

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დ.ბ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,ა", ,,ბ", „გ", „დ" და „ე" ქვეპუნქტებით განსაზღვრულ პირთა წრისათვის კომპენსაციის ოდენობა შეადგენს ამ წესის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული კომპენსაციის 75%-ს, მიუხედავად გარდაცვლილის მიერ თადარიგში დათხოვნისათვის ამ წესის მე-7 მუხლით გათვალისწინებული კომპენსაციის მიღების უფლების მოპოვებისა. ამასთან, გარდაცვლილის ნამსახურების მინიმალური სტაჟი უთანაბრდება 20 წელს.";

ე) 14^1 მუხლის:

ე.ა) „გ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღის (1991 წლის 9 აპრილი) შემდეგ, „პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1^1 პუნქტით და „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 41-ე მუხლის მე-10 პუნქტითა და „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-17 მუხლის 2^1 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპულ ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მოსამსახურეთა ოჯახის წევრებს, გარდა ამ პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.";

ე.ბ) ,,დ " ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე" ქვეპუნქტი:

„ე) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპული ან მიღებული დაზიანების შედეგად გარდაცვლილი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულებების იმ თანამშრომლების ოჯახის წევრებს, რომლებიც მონაწილეობდნენ სტიქიური უბედურების სალიკვიდაციო/სამაშველო სამუშაოებში ან გარემოს დაცვის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების გამოვლენისა და აღკვეთის ღონისძიებაში.";

ვ) მე-15 მუხლის:

ვ.ა) მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„ა) სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებიდან, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან, საქართველოს დაზვერვის სამსახურიდან და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთათვის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებიდან – სპეციალური პენიტენციური სამსახურიდან, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტიდან, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციიდან და საგამოძიებო დეპარტამენტიდან დათხოვნილი სამხედრო წოდების ან სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირთათვის, იმავე სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურიდან დათხოვნილი, ზევადიანი სამხედრო წოდების ან სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირთათვის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საჯარო თანამდებობებიდან გათავისუფლებულ პირთათვის, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დანაყოფის თანამდებობიდან გათავისუფლებულ პირთათვის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებიდან – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურიდან და საქართველოს პრემიერ-მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული სპეციალური დანიშნულების სახელმწიფო დაწესებულებიდან – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურიდან და ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატიდან დათხოვნილ სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირთათვის ნამსახურობის ვადის ამოწურვის გამო კომპენსაციის დანიშვნისათვის – პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, შესაბამისი უწყების/დაწესებულების მიერ გაცემული წელთა ნამსახურობის ნუსხა/გაანგარიშება, ბრძანება სამხედრო ძალების რიგებიდან დათხოვნის შესახებ, ბრძანება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საჯარო თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, ბრძანება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დანაყოფის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, ბრძანება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებიდან – სპეციალური პენიტენციური სამსახურიდან, ამავე სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტიდან, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციიდან, საგამოძიებო დეპარტამენტიდან ან სპეციალური პენიტენციური სამსახურიდან დათხოვნის შესახებ, ბრძანება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებიდან – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურიდან და საქართველოს პრემიერ-მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული სპეციალური დანიშნულების სახელმწიფო დაწესებულებიდან – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ, ბრძანება ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატიდან დათხოვნის შესახებ:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა.ა) სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებიდან, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან, საქართველოს დაზვერვის სამსახურიდან და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილმა პირმა, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებიდან – სპეციალური პენიტენციური სამსახურიდან, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტიდან, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციიდან და საგამოძიებო დეპარტამენტიდან დათხოვნილმა სამხედრო წოდების ან სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირმა, იმავე სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურიდან დათხოვნილმა, ზევადიანი სამხედრო წოდების ან სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირმა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საჯარო თანამდებობებიდან გათავისუფლებულმა პირმა, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დანაყოფის თანამდებობიდან გათავისუფლებულმა პირმა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებიდან – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურიდან და საქართველოს პრემიერ-მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული სპეციალური დანიშნულების სახელმწიფო დაწესებულებიდან – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურიდან დათხოვნილმა სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირმა, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატიდან დათხოვნილმა სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირმა შეზღუდული შესაძლებლობის გამო კომპენსაციის დანიშვნისათვის – პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, შესაბამისი უწყების/დაწესებულების მიერ გაცემული წელთა ნამსახურობის ნუსხა/გაანგარიშება, ბრძანება სამხედრო ძალების რიგებიდან დათხოვნის შესახებ, ბრძანება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საჯარო თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, ბრძანება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დანაყოფის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, ბრძანება საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციიდან, საგამოძიებო დეპარტამენტიდან და სპეციალური პენიტენციური სამსახურიდან, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებიდან – სპეციალური პენიტენციური სამსახურიდან, ამავე სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტიდან დათხოვნის შესახებ, ბრძანება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებიდან – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურიდან და საქართველოს პრემიერ-მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული სპეციალური დანიშნულების სახელმწიფო დაწესებულებიდან – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ, ბრძანება ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატიდან დათხოვნის შესახებ, შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული სამედიცინო– სოციალური ექსპერტიზის შემოწმების აქტის ამონაწერი;“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა.ბ) სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, საქართველოს დაზვერვის სამსახურის და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის და საგამოძიებო დეპარტამენტის, იმავე სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დანაყოფის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის და საქართველოს პრემიერ-მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული სპეციალური დანიშნულების სახელმწიფო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის მოსამსახურის, გარდაცვალების შემთხვევაში, ოჯახის წევრებზე კომპენსაციის დანიშვნისათვის – პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, წელთა ნამსახურობის ნუსხა, ბრძანება სამხედრო ძალების რიგებიდან დათხოვნის შესახებ, ბრძანება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საჯარო თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, ბრძანება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დანაყოფის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, ბრძანება საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციიდან, საგამოძიებო დეპარტამენტიდან და სპეციალური პენიტენციური სამსახურიდან დათხოვნის შესახებ, ბრძანება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებიდან – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურიდან და საქართველოს პრემიერ-მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული სპეციალური დანიშნულების სახელმწიფო დაწესებულებიდან – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ, ბრძანება ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატიდან დათხოვნის შესახებ, გარდაცვალების მოწმობა, საჭიროების შემთხვევაში შრომისუუნარობის დამადასტურებელი დოკუმენტი. ამასთან, დამატებით, მშობლებზე – გარდაცვლილის დაბადების მოწმობა, მეუღლეზე – ქორწინების მოწმობა, შვილ(ებ)ზე – დაბადების მოწმობა;";

ვ.ბ) „ა5" ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა^{6}" და „ა^{7}" ქვეპუნქტები:

„ა^{6}) „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-17 მუხლის 2^{1} პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპული ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილი სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მოსამსახურეთა ოჯახის წევრებისათვის: გარდაცვალების მოწმობა, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის მიერ გაცემული დოკუმენტი, რომლითაც დადასტურდება პირის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გარდაცვალების ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვალების ფაქტი (სამართლებრივი საფუძვლის მითითებით), საჭიროების შემთხვევაში შრომისუუნარობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ამასთან, დამატებით, მშობლებზე – გარდაცვლილის დაბადების მოწმობა, მეუღლეზე – ქორწინების მოწმობა, შვილ(ებ)ზე – დაბადების მოწმობა;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა[7]) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპული ან მიღებული დაზიანების შედეგად გარდაცვლილი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულებების იმ თანამშრომლების ოჯახის წევრებისთვის, რომლებიც მონაწილეობდნენ სტიქიური უბედურების სალიკვიდაციო/სამაშველო სამუშაოებში ან გარემოს დაცვის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების გამოვლენისა და აღკვეთის ღონისძიებაში: გარდაცვალების მოწმობა, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ან/და მის სისტემაში შემავალი დაწესებულების შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის მიერ გაცემული დოკუმენტი, რომლითაც დადასტურდება პირის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გარდაცვალების ან მიღებული დაზიანების შედეგად გარდაცვალების ფაქტი (სამართლებრივი საფუძვლის მითითებით), საჭიროების შემთხვევაში შრომისუუნარობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ამასთან, დამატებით, მშობლებზე – გარდაცვლილის დაბადების მოწმობა, მეუღლეზე – ქორწინების მოწმობა, შვილ(ებ)ზე – დაბადების მოწმობა;";

ვ.გ) „ე" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) უმაღლესი დიპლომატიური რანგის მქონე პირზე კომპენსაციის დანიშვნისათვის – პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად საქართველოს პრეზიდენტის მიერ მინიჭებული უმაღლესი დიპლომატიური რანგის დამადასტურებელი დოკუმენტი, ცნობა უფლებამოსილების შეწყვეტის მომენტისთვის მის მიერ დაკავებული უმაღლესი დიპლომატიური თანამდებობის ბოლო ერთი წლის განმავლობაში განსაზღვრული საშუალო თანამდებობრივი სარგოს შესახებ;".

ზ) 22-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-11და მე-12 პუნქტები:

„11. ამ წესის 14[1] მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტის მოქმედება ვრცელდება 2011 წლიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

12. „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-17 მუხლის 2[1] პუნქტით გათვალისწინებულ განსაკუთრებულ გარემოებებში 2019 წლის 3 მაისამდე გარდაცვლილი სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლების ოჯახის წევრებს ოჯახის წევრის გარდაცვალების გამო კომპენსაციის მიღების უფლება წარმოეშობათ 2019 წლის 3 მაისიდან.".

მუხლი 2. ამ ბრძანების:

1. პირველი მუხლის პირველი პუნქტი და პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ვ.გ" ქვეპუნქტი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. მე-2 პუნქტის „ა.ა“, „ა.ბ“, „ბ“, „გ“, „დ“ და „ვ.ა“ ქვეპუნქტები ამოქმედდეს 2019 წლის 1 ოქტომბრიდან.

3. მე-2 პუნქტის „ე.ა“, „ვ.ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული „ა[6]“ ქვეპუნქტი და „ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მე-12 პუნქტი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2019 წლის 3 მაისიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

4. მე-2 პუნქტის „ე.ბ“, „ვ.ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული „ა[7]“ ქვეპუნქტი და „ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მე-11 პუნქტი ამოქმედდეს 2019 წლის 1 აგვისტოდან.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი

ეკატერინე ტიკარაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

i n s t r u q c i a

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №221

2019 წლის 16 ივლისი, ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, 200090000.22.033.016112) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. **მე-17 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი**:

„6. სავარაუდო დარიცხვის შემთხვევაში, პირს საგადასახადო მოთხოვნა არ წარედგინება.“.

2. 22[1] **მუხლის**:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი** 22[1]. **სავარაუდო დარიცხვა**“;

ბ) პირველი - მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია, საგადასახადო შემოწმების გარეშე განახორციელოს სავარაუდო დარიცხვა თავის ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ:

ა) გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე განხორციელდა გადასახადის თანხის უსაფუძვლო შემცირება;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) პირს წარმოეშვა საგადასახადო დეკლარაციის/გაანგარიშების წარდგენის ვალდებულება და კანონმდებლობით დადგენილ ვადაში არ წარადგინა საგადასახადო დეკლარაცია/გაანგარიშება (ავტომატური დეკლარირება).

2. ავტომატური დეკლარირების შემთხვევაში მიიჩნევა, რომ პირმა წარადგინა საგადასახადო დეკლარაცია/გაანგარიშება, რომლის საფუძველზეც გადასახდელად დასარიცხი გადასახადის/მოსაკრებლის თანხა საგადასახადო ორგანოს მიერ განხორციელებული სავარაუდო დარიცხვის თანხის ტოლია.

3. სავარაუდო დარიცხვა შეიძლება შეიცვალოს შესწორებითი დარიცხვით:

ა) საგადასახადო შემოწმების შედეგების საფუძველზე მიღებული საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილებით;

ბ) ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – საგადასახადო დავის განმხილველი ორგანოს ან სასამართლოს გადაწყვეტილებით;

გ) ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – პირის მიერ საგადასახადო დეკლარაციის/გაანგარიშების წარდგენის გზით. ამ შემთხვევაში, პირის მიერ წარდგენილი საგადასახადო დეკლარაცია/გაანგარიშება დაგვიანებულად წარდგენილად ჩაითვლება.“;

გ) მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^1 პუნქტი:

„3^1. სავარაუდო დარიცხვის თაობაზე პირს ეცნობება საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამასთანავე, პირი უფლებამოსილია საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესით გაასაჩივროს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სავარაუდო დარიცხვა.“.

3. 51-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 – მე-6 პუნქტები:

„4. საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულ პირს შეუჩეროს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების ელექტრონული ფორმით გამოწერის/დადასტურების უფლება ან/და პირს უარი უთხრას აღნიშნული დოკუმენტების მატერიალური ფორმით გაცემაზე:

ა) უსაქონლო ოპერაციის ან ფიქტიური გარიგების ნიშნების გამოვლენისას. ამ შემთხვევაში, საქმის მასალები გადაიგზავნება შესაბამის საგამოძიებო ორგანოში;

ბ) შესაბამისი საგამოძიებო ორგანოს მოთხოვნისას (მის წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში).

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში პირს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 282-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სანქცია არ დაეკისრება.

6. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა უქმდება შესაბამისი საგამოძიებო ორგანოს მოთხოვნით (მის წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში) ან თუ გამოძიებით არ დადასტურდა უსაქონლო ოპერაციის ან ფიქტიური გარიგების ფაქტი.“.

4. 56[1] **მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-19 პუნქტი**:

„19. ამ მუხლით გათვალისწინებული საგადასახადო დოკუმენტის მიმართ შესაბამისად გამოიყენება ამ ინსტრუქციის 51-ე მუხლის მე-4 - მე-6 პუნქტები.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ივანე მაჭავარიანი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

Semosavlebis samsaxuris brZaneba

შემოსავლების სამსახურის უფროსის

ბრძანება №24679

2019 წლის 18 ივლისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

1. „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების პირველი პუნქტის:

ა) „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების ინსტრუქციის“ (დანართი №1):

ა.ა) **პირველი მუხლის 12^5 პუნქტი ამოღებულ იქნეს**;

ა.ბ) **„დანართი №I–06“ ამოღებულ იქნეს**;

ბ) „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „დეკლარირების კლასიფიკატორის“ (დანართი №2) „ნაწილი 10. საქონლის გაფორმებისათვის წარსადგენი დოკუმენტებისა და საქონელთან დაკავშირებით სხვა საჭირო ინფორმაციის კლასიფიკატორის“:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ.ა) „493“, „494“, „495“, „497“, „500“ და „501“ კოდების შესაბამისი გრაფები ამოღებულ იქნეს;

ბ.ბ) „503“ კოდის გრაფის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის გრაფა:

„505	„სამშენებლო პროდუქტის იმპორტის წინასწარი შეტყობინება“ “.

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს 2019 წლის 20 ივლისიდან.

სამსახურის უფროსი

ვახტანგ ლაშქარაძე

შემოსავლების სამსახურის უფროსის

ბრძანება №25873

2019 წლის 26 ივლისი, ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის თანამშრომელთა შეფასების მიზნით შეფასების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2019 წლის 3 აპრილის №9159 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის თანამშრომელთა შეფასების მიზნით შეფასების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2019 წლის 3 აპრილის №9159 ბრძანების პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე“ ქვეპუნქტი:

„ე) „სსიპ – შემოსავლების სამსახურის თანამშრომელთა შეფასების შედეგების გასაჩივრების კომისიის დებულება“ (დანართი №5).“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის თანამშრომელთა შეფასების მიზნით შეფასების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2019 წლის 3 აპრილის №9159 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ – შემოსავლების სამსახურის თანამშრომლის შეფასების წესისა და პირობების“ (დანართი №1):

ა) მე-12 მუხლის:

ა.ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. თუ თანამშრომელი არ ეთანხმება საბოლოო შეფასების შედეგს, მას უფლება აქვს, წერილობით მიმართოს შეფასების შედეგების გასაჩივრების კომისიას (შემდგომში – კომისია) და მოითხოვოს დოკუმენტური მასალის შეფასებისა და გასაუბრების ხელმეორედ ჩატარება.“;

ა.ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. კომისიის შემადგენლობაში შედიან სამსახურის უფროსი, სამსახურის უფროსის კურატორი მოადგილე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსი (გარდა ამ მუხლის 3^1 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა).“;

ა.გ) მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^1 პუნქტი:

„3^1. იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი წარდგენილი იქნა ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის თანამშრომლის მიერ, კომისიის შემადგენლობაში შედიან სამსახურის უფროსი და სამსახურის უფროსის კურატორი მოადგილე.“;

ბ) მე-13 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. შეფასების შედეგები კონფიდენციალურია. თანამშრომლის შეფასების შედეგებზე წვდომა გააჩნიათ მხოლოდ სამსახურის უფროსს, სამსახურის უფროსის კურატორ მოადგილეს, ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტს, უშუალო ხელმძღვანელს, დეპარტამენტის უფროსს (მის დაქვემდებარებაში მყოფ თანამშრომლებთან მიმართებაში) და შეფასებულ თანამშრომელს.“.

3. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის თანამშრომელთა შეფასების მიზნით შეფასების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2019 წლის 3 აპრილის №9159 ბრძანებას დაემატოს დანართი №5 თანდართული რედაქციით.

4. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სამსახურის უფროსი

ვახტანგ ლაშქარაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დანართი №5

სსიპ – შემოსავლების სამსახურის თანამშრომელთა შეფასების შედეგების გასაჩივრების კომისიის დებულება

მუხლი 1

1. სსიპ შემოსავლების სამსახურის (შემდგომში – სამსახური) თანამშრომელთა შეფასების შედეგების გასაჩივრების კომისია (შემდგომში – კომისია) ახორციელებს სამსახურის თანამშრომლის (შემდგომში – თანამშრომელი) მიერ წარდგენილი წერილობითი საჩივრის განხილვას.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, კომისია ახორციელებს:

ა) დოკუმენტური მასალის შეფასებას;

ბ) გასაუბრებას საჩივრის წარმდგენ თანამშრომელსა და მის უშუალო ხელმძღვანელთან, ხოლო ამ ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ შემოსავლების სამსახურის თანამშრომლის შეფასების წესის და პირობების“ (დანართი №1) მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში – ასევე დეპარტამენტის უფროსთან, განხორციელებული შეფასების შედეგის მის მიერ ცვლილების შემთხვევაში.

3. კომისია იღებს გადაწყვეტილებას თანამშრომლის საბოლოო შეფასების შესახებ.

4. კომისია უფლებამოსილია, მიიღოს შემდეგი გადაწყვეტილება:

ა) განუხილველად დატოვოს საჩივარი;

ბ) დააკმაყოფილოს/ნაწილობრივ დააკმაყოფილოს საჩივარი და შეცვალოს განხორციელებული შეფასების შედეგი;

გ) უარი თქვას საჩივრის დაკმაყოფილებაზე და უცვლელი დატოვოს განხორციელებული შეფასების შედეგი.

5. კომისია უფლებამოსილია, განუხილველად დატოვოს საჩივარი, თუ:

ა) საჩივარი თანამშრომლის მიერ წარდგენილ იქნა ამ ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ – შემოსავლების სამსახურის თანამშრომლის შეფასების წესის და პირობების“ (დანართი №1) მე-12 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ვადის დარღვევით;

ბ) თანამშრომელი არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა მის მიერ წარდგენილი საჩივრის განხილვის მიზნით გამართულ კომისიის სხდომაზე.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 2

1. კომისიის სხდომა იმართება კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით.

2. კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის თავმჯდომარე და კომისიის ერთი წევრი მაინც.

3. კომისიის სხდომის ჩატარების ორგანიზებას ახორციელებს სამსახურის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტი (შემდგომში – ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტი).

4. კომისიის სხდომაზე მოწვეული უნდა იქნეს საჩივრის წარმდგენი თანამშრომელი.

5. სხდომის დღის წესრიგი და თანდართული დოკუმენტები, ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის მიერ, კომისიის წევრებს მიეწოდება ელექტრონული ფორმით, სხდომის ჩატარებამდე.

6. კომისიის სხდომას წარმართავს და ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე.

7. კომისიის სხდომის მდივნის ფუნქციას ასრულებს ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის ერთ-ერთი თანამშრომელი.

მუხლი 3

1. თანამშრომლის მიერ წარდგენილი საჩივრის კომისიის მიერ განხილვის ვადაა არაუმეტეს 1 თვე.

2. კომისიის სხდომაზე განიხილება მხარეთა არგუმენტები, შესწავლილი იქნება შესაბამისი ინფორმაცია და დოკუმენტები.

3. შეფასების საბოლოო შედეგის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით, კომისიას უფლება აქვს, პროცესში მონაწილე პირს მოსთხოვოს დამატებითი დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარდგენა, რისთვისაც განუსაზღვრავს ვადას არაუმეტეს 10 კალენდარული დღისა.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დამატებითი დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარდგენაზე ვალდებული პირის მიერ დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტაციის/ინფორმაციის კომისიისათვის წარდგენამდე ჩერდება საჩივრის განხილვა.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 4

1. თანამშრომლის საბოლოო შეფასების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება კომისიის სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

2. სხდომის მიმდინარეობისა და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ დგება ოქმი, რომელიც ვიზირებული უნდა იყოს კომისიის იმ წევრის მიერ, რომელმაც მონაწილეობა მიიღო გადაწყვეტილების მიღებაში.

3. სხდომის ოქმს ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და მდივანი.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გამოიწერეთ

გადასახადები

მეწარმეების, საშაღასახადო ინსპექტორების, აუდიტორების, ბუღალტრებისა და ყველა მაღამხდელის უნივერსალური საშამიდო ჟურნალი

ჩვენი რეკვიზიტებია:

მიმღები: შპს 'ბიზნეს ინტელექტი"
მიმღების IBAN ანგარიშის
№ GE67TB332136020100005

მიმღების ბანკი: ს.ს „თიბისი" ბანკი
ბანკის კოდი: TBCBGE22

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com